სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №32

ქ.ქუთაისი 26 მარტი 2019 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების პირველი მუხლისა 3[1]-პუნქტის, „ე'" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, (შემდგომში „შემსყიდველი") სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე ზვიად შალამბერიძის სახით. (მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 24-24-14).

მეორეს მხრივ შპს "რაპაკა" დირექტორი კახა გვეტაძის სახით (მისამართი: ქ. ქუთაისი, წერეთლისა ჯიბლაძის 35/2. ს/ნ 412704505) (შემდგომში „მიმწოდებელი")

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილის კაბინეტებისთვის აბრის დამზადება .

1.2. cpv კოდი – 44423460

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ - სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ლია ჯანელიძის მიერ.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

4.1 „მიმწოდებლი" ვალდებულია შესყიდვის მიწოდება განახორციელოს 2019 წლის 26 მარტიდან 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით

4.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს ,,შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად ხარისხიანი საქონელი.

4.3 „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შესიდვის ობიექტი ან გაწეული მომსახურება იქნება მაღალეფექტური და თანამდერვე სტანდარტების. შესყიდვა უნდა განხორიცელდეს ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1 (ფასების ცხრილი) მიხედვით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს 2019 წლის 26 მარტიდან 23019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

5.2 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად შემდეგი ერთ-ერთი დოკუმენტაციის წარმოდგენისას:

- ა) მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
- ბ) სასაქონლო ზედდებულის წარმოდგენით;
- გ) მიწოდებული საქონლის შესაბამისი ამოწერილი დღგ-ს ანგარიშფაქტურის წარმოდგენით.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლი"–ს მიერ შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენისას:

- ა) ფაქტიურად მიწოდებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ღირებულება;
- ბ) მიღება-ჩაბარების აქტი;
- გ) მიწოდებელი საქონლის შესაბამისად ამოწერილი დღგ–ს ანგარიშფაქტურა ;

6.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა) ლარებში.

6.3 ანგარიშსწორების ვადაა სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღე.

6.4 ანგარიშსწორება განხორცილედება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორიცელების წესისი შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N424 ბრძანების შესაბამისად.

6.5 „შემსყიდველი" განახორცილებს წინასწარ ანგარიშსწორებას, თუ „მიმწოდებლის" მიერ მოხდება

ოდების“ შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა.

7.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. მხარეთა უფლება–მოვალეობები

9.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

– მისაწოდებელი შესყიდვის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია

9.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

– უზრუნველყოს ,,მიმწოდებელი"–ს მიერ მიწოდებული შესყიდვის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

9.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

–მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

9.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

–დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

10.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ს.

10.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყონებლივ გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;

12.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 მხარეები უნდა შეთანხმდნენ, რომ წამოჭრილი დავები გადაწყვეტილი იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 ადგილობრივი ,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი ,,მიმწოდებელთან" და 1 (ერთი) პირი შემსყიდველთან".

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
სახელმწიფო რწმუნებულის
ადმინისტრაცია
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი 1300
ს/კ 212709586
სახელმწიფო რწმუნებულის
პირველი მოადგილე

ზვიად შალამბერიძე

THE STATE REPRESENTATIVE GOVERNORs ADMINISTRATION IN IMERETI

Digitally signed by THE STATE REPRESENTATIVE GOVERNORs ADMINISTRATION IN IMERETI
Date: 2019.03.26 13:13:50 +04'00'

მიმწოდებელი:

შპს. „რაპაკა“
მის: ქ. ქუთაისი, წერეთლისა და ჯიბლაძის 35/2
ს/კ: 412704505
მფო: MIBGGE22

ანგ: GE54PC0013600100045900
დირექტიორი

კახა გვეტაძე

ფასების ცხრილი

მიმწოდებლის დასახელება: შპს „რაპაკა“

საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	შენიშვნა
ვაბინეტის აბრა	1	30	30	
ულ:			30(ოცდაათი) ლარი	

მიმწოდებლის ხელმოწერა

ბეჭედი